

Tinatin Dzodzuashvili

თინათინ ძოდუაშვილი

Georgia, Tbilisi

საქართველო, თბილისი

The Role of Female Translators for Georgian Literature of the Second Half of the 19th Century

ქალ მთარგმნელთა როლი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობისთვის

The second half of the 19th century is an important period for Georgian literature. During this period, female creators actively began to translate foreign literary samples, which contributed to bringing new ideas and new themes to the country. translation has become the best means of intercultural communication. The article will talk about the collection prepared under the leadership of Anastasia Tumanishvili, "Translation of pleasant readings (writings) □ translated and published by Georgian women", because this collection was the first product of independent literary activity of women writers and translators.

Keywords:

საკვანძო სიტყვები:

ეს იყო „შესანიშნავი მოვლინება“ ქართველი ქალებისგან.

(მესხი, 1872, გვ.1)

მხატვრულ თარგმანს კულტურულთან ერთად ყოველთვის ჰქონდა იდეოლოგიური მნიშვნელობაც და ეს განაპირობებს გარკვეულწილად, მის პრობლემასაც. ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ სოციალურ მიზეზთა გამო, ხშირად ქართულ კულტურასა და ლიტერატურას უცხოეთის ქვეყნებთან არაერთგვაროვანი ურთიერთობა უწევდა, რაც თავისთავად თარგმანებზეც და მათ სახელდებლად აიხებოდა. ეპოქების მიხედვით იცვლებოდა თარგმანის ცნების გაგებაც. მეტად მიღებული ხერხი იყო თარგმანის, როგორც ინტერპრეტაციის გაკეთება, „გაქართულება“, ტექსტის ეროვნულ ინტერესებზე მორგება, ვიდრე უცხოურიდან ქართულ ენაზე პირდაპირი გადმოტანა. ამიტომაც, პოლიტიკური ორიენტაციების მიხედვით იცვლებოდა თარგმანის სტილი და თემატიკაც. მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან, ქართულ თარგმანებს აშკარად დაეტყობოდა დასავლური ორიენტაციის გავლენა. შეიძლება ითქვას, ქართულ თარგმანს თავისი განვითარების ისტორიის მანძილზე, ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვანმა პოლიტიკურმა ფაქტმა დაამჩნია კვალი და განსაზღვრა მისი ორიენტირები.

თითოეული თარგმანი განასხვავებულია მისი სტილის მიხედვითი პროეტურია იგი, პროზაული თუ რეალისტური. ამათ შორის ყველაზე „თავისუფალი“, რომელიც ლავირების საშუალებას აძლევს მათარგმნელს არის რეალისტური თარგმანი. მკვლევარ გივი გაჩეჩილაძის აზრით, მიუხედავად ყველა წესისა თუ თეორიის დაცვა-გათვალისწინებისა, „სიტყვა-სიტყვით გადმოღებული იგი (რეალისტური თარგმანი) კარგავს ესთეტიკურ ღირებულებას, ხოლო თავასუფლად შესრულებული, კარგავს დედნის შინაარსისა და ფორმის მნიშვნელოვან ნაწილს და იქცევა მიბაძვად ან ეპიგონობად“ (გაჩეჩილაძე, 1959, გვ.348). გაჩეჩილაძის აზრით, გარდა თარგმანის

ზოგადი ლიტერატურული თეორიებისა, აუცილებელია არსებობდეს ცალკეულ სახეობათა (ლირიკა, დრამა, ნოველა..) თარგმანის თეორია, რომლის კერძო პრინციპებიც დაემყარება ზოგად თეორიულ პრინციპებს. ეს მახასიათებლები მთარგმნელის შესაძლებლობებისა და ინდივიდუალური შემოქმედებით უნარების გათვალისწინებით მნიშვნელოვანი იქნება მხატვრული თარგმანის განვითარებისა და მეტად დახვეწისთვის.

ლიტერატურული თარგმანი მნიშვნელოვანი საშუალებაა განსხვავებული კულტურების ერთმანეთთან ზიარებისთვის, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნებისთვის, კულტურული მრავალფეროვნების გაზიარებისა და მიღებისთვის. თარგმანის როლი ფასდაუდებელია განსხვავებული ენობრივი ბარიერის გადალახვის საქმეში. თარგმანი იძლევა საშუალებას სხვადასხვა ლიტერატურული ტრადიციებისა თუ შესაძლებლობების მქონე ქვეყნებმა ერთმანეთს გაუზიარონ თავიანთი ლიტერატურული საგანძური, ჩამოაყალიბონ ახალი პერსპექტივები და ახლებური ხედვა მკითხველისთვის. ის არის ხიდი სხვადასხვა კულტურის, ადათ-წესებისა და ტრადიციების მქონე ადამიანებისთვის ჩაერთონ მდიდარ ინტერკულტურულ დიალოგში. ამ საქმეში კი მთარგმნელი ასრულებს მნიშვნელოვან სამუშაოს. მან უნდა შეინარჩუნოს ორიგინალი ტექსტის ღირებულება და ამავდროულად, ახალი, უცხოელი მკითხველისთვის ადვილად გასაგებად მოამზადოს ტექსტი.

ძნელია ისაუბრო ნაციონალურ ლიტერატურებზე ჩაკეტილად, მხოლოდ ერთი ქვეყნის ისტორიიდან თუ კულტურიდან გამომდინარე. მხატვრული ლიტერატურული პროცესები თავისუფალია და ერთი კონკრეტული ქვეყნის ნაციონალური ლიტერატურის უკეთ შესაცნობად, უმჯობესია თუ ის განხილული იქნება მსოფლიო ლიტერატურული პროცესების შემადგენელ ნაწილად. კულტურათაშორის დიალოგს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის მე-19 საუკუნის მეორე ნახევრისა და მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის. როცა ინტელექტუალებმა და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებმა დაიწყეს კულტურული ბრძოლა სიბნელის და უმეცრებისგან წარმოქმნილი ცრურწმენების წინააღმდეგ და ქვეყნის მაცხოვრებლების უმეტესობას საშუალება მისცეს ზიარებოდნენ როგორც ქართული, ისე უცხოური კულტურისა და ლიტერატურის მნიშვნელოვან ნაწარმოებებს.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში შესრულებული ქართული თარგმანების უმეტესობის ძირითადი მიზანი მოსახლეობის გამოცოცლება, განვითარება და მათთვის მაგალითის მიცემა იყო. ეჩვენებინათ ქვეყნის მაცხოვრებლებისთვის განვითარებული ქვეყნების ყოფა და აღემრათ სურვილი გაცნობოდნენ სხვა ქვეყნების ლიტერატურას. ეს მისია იმ პერიოდის მთარგმნელებს დაეკისრათ და მათ მიერ შესრულებული ნათელი, დედანთან მაქსიმალურად მიახლოებული თარგმანების დამსახურებით ზოგიერთმა გმირმა განზოგადებული სახეც კი შეიძინა და მკითხველმაც მეტად მისეულად მიიღო, ქართულ რეალობასთან ახლო მყოფი ისტორიების წყალობით.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი ბევრი ასპექტით მნიშვნელოვანი პერიოდი ქართული ლიტერატურისთვის. განსაკუთრებით საინტერესოა საუკუნის ბოლოს მოღვაწე ქალთა სამოქალაქო და სამწერლობო საქმიანობა, რომელთა თითოეულ აქტივობას გადამწყვეტი როლი ჰქონდა არა მხოლოდ განათლების გავრცელების საქმეში, არამედ ეროვნული ლიტერატურისთვის ნათელი ფერების მიცემისთვისაც. ამ პერიოდში მოღვაწე ქალმა შემოქმედებმა აქტიურად დაიწყეს თარგმნა უცხოური ლიტერატურული ნიმუშების, რამაც ხელი შეუწყო მწერლობაში ახალი იდეების თუ ახალი თემების შემოტანას. ამიტომაც გახდა თარგმანი ინტერკულტურული კომუნიკაციის საუკეთესო საშუალება.

ნაშრომში საუბარი იქნება ანასტასია თუმანიშვილის ხელმძღვანელობით მომზადებულ კრებულზე „თარგმანი საამურთა საკითხავთა (თხზულებათა) – თარგმნილი და გამოცემული ქართველი ქალებისგა“, რადგანაც ეს კრებული იყო ქალ მწერალთა და მთარგმნელთა დამოუკიდებელი ლიტერატურული საქმიანობის პირველი პროდუქტი. აღნიშნული ნაშრომიდან გამომდინარე, განხილული იქნება თუ რა ღირებულება ჰქონდა ამ ნაშრომს და ზოგადად, ამ პერიოდში შესრულებულ თარგმანებს ქვეყნის ზუსტი ორიენტირების განსაზღვრისთვის.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ინტელექტუალური საზოგადოების კომუნიკაციისა და ფართო მასების ინფორმირებულობისთვის აქტიურად გამოიყენებოდა ბეჭდური პრესა. თუმცა, იმ დროის პერიოდულ გამოცემებში ბევრი არაფერი დაწერილა ნაშრომის „თარგმანი საამო საკითხავთა თხზულებათა“ შესახებ. მხოლოდ რამდენიმე ღირებული ანოტაცია, რომელიც მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს საკითხით დაინერესებულ მკვლევართათვის. ერთ-ერთი ასეთია სერგეი მესხის მიერ დროებაში გამოქვეყნებული კომპეტენტური რეცენზია, სადაც ნაშრომი თითქმის ყველა ასპექტით არის შეფასებული.

„ამ წიგნის გამოსვლა ჩვენს ლიტერატურაში და ჩვენს ცხოვრებაში შესანიშნავი მოვლინებაა. თვითონ წიგნი მაინცა და მაინც არაფრით არ არის მაგდენათ ყურადღების ღირსი. მაგრამ ყურადღების ღირსი ის არის, რომ ეს წიგნი გადმოთარგმნილი და გამოცემულია ქართველის ქალებისგან. როგორ სასიამოვნო არ უნდა იყოს ჩვენი საზოგადოებისთვის ის გარემოება, რომ ჩვენი ქალები, რომლებიც ამ უკანასკნელ დროებაში მხოლოდ სიყვარულზე, გათხოვებაზე, ცეკვა-თამაშზე და ტანისამოსზე ფიქრობენ, ჰკიდებენ ხელს ისეთ საქმეს, რომელსაც უჭველია, საზოგადოებისთვის რაიმე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს? როგორ არ უნდა გვიხაროდეს ჩვენ. როდესაც ჩვენშია ჩნდებიან ისეთი ქალები, რომელნიც მარტო ბალებში და ლოტოს თამაშში არ ძებნენ დროების გატარების საშუალებას და სიამოვნებას?“

„ჩვენს ძველ ლიტერატურაში, რამდენადაც ვიცით, ერთი თხზულებაც არ არის, რომელიც ქალის კალამს ეკუთვნოდეს...“ (მესხი, 1872, გვ. 1).

ამ მცირე მიმოხილვაში, არა მხოლოდ ნაშრომის ღირებულებაზეა საუბარი, სრულფასოვნად არის შეფასებული ქვეყნის მდგომარეობა და იმდროინდელი ყოფა-ცხოვრების წესი. რეცენზიის ავტორის სიხარულს და მოწონებას იწვევს ფაქტი, რომ ეპოქაში როცა ახალგაზრდები ძირითადად დროსტარებაზე და გათხოვებაზე ფიქრობენ, ჩნდებიან განათლებული ქალები, რომლებიც საზოგადო საქმეს ემსახურებიან. ავტორი ასევე გულისწევებით აღნიშნავს, რომ ჯერ მხოლოდ სამი ქალი გამოჩნდა (ეკ. გაბაშვილი, ეკ. მელიქიშვილი, ელ. ყიფიანი), რომელთაც გამოთქვეს სურვილი ამ საერო საქმეს ემსახურონ და იმედოვნებს, რომ ამათ გარდა კიდევ ბევრი ქალია ქვეყანაში, ვისაც ქვეყნისათვის კარგი საქმის კეთება გულით სურს.

კრებულში „თარგმანი საამურთა საკითხავთა (თხზულებათა) – თარგმნილი და გამოცემული ქართველი ქალებისგან“ მხოლოდ რამდენიმე ნაშრომია და სერგეი მესხი რეცენზიაში კონკრეტულად მიმოხილავს თითოეულ თარგმანს. საუბრობს ნაშრომთა ღირებულებასა და მნიშვნელობაზე ზოგადსაკაცობრიო კონტექსტში. მის მოწონებას იმსახურებს ჰიუგოს „საბრალონიდან“ თარგმნილი ნაწყვეტი „პარიზელი ბიჭი“. სერგეი მესხის აზრით, პარიზელი „გამენის“ ცხოვრება ძალიან ჰგავს ქართველი ქუჩის ბიჭების ცხოვრებას და მისი ისტორიების გაზიარება მკითხველისთვის მეტად ახლობელი იქნება. ნაშრომის ღირებულებიდან გამომდინარე, იმედოვნებს რომ სამომავლოდ ავტორი სრულ ნაწარმოებს თარგმნის, რითაც ქართველ მკითხველს სრულყოფილი წარმოდგენა შეეძენება ამ ნაშრომის ღირებულებასა და ჰიუგოს შემოქმედებაზე.

იმ პერიოდის ჟურნალებში დაბეჭდილი თარგმანებისა თუ ნაშრომების უმრავლესობა მიმართული იყო ქართველ მკითხველში ცნობიერის დონის ამაღლებისკენ, სხვათა საგმირო მაგალითების გაზიარებისკენ, რომ მათაც მომტებოდათ პატრიოტული სულისკვეთება და საერთო ძალებით დარაზმულიყვნენ ეროვნული საქმეების საკეთებლად. ამ ნიშნით, სხვათა სამოტივაციო მაგალითების და ნაწარმოებების გაზიარებას ფართო მასებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა. აღნიშნული მისია დააკისრა სერგეი მესხმა ამ კრებულში გამოქვეყნებულ თარგმანს „მეთვრამეტე საუკუნის ამერიკელი ქალები“. რეცენზიის ავტორის აზრით, ნაწარმოების მთავარი გმირი ქალის და გმირი დედის, ელეონორა უილსონის თავდადების გაზიარება, რომ მან თვრამეტივე შვილი ქვეყნის სამსახურს შესწირა, ქართველი ქალებისთვის ღირებული მაგალითის მიძეცი იქნებოდა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქართულ პრესაში გამოქვეყნებული თუ ბეჭდურად გამოცემული თითოეული ნაშრომი ორმაგი დატვირთვის მატარებელი იყო-სასიამოვნო საკითხავთან ერთად, მას საზოგადოებისთვის სარგებელიც უნდა მოეტანა. სერგეი მესხის აზრით, ამ მისიას პირნათლად ემსახურებოდა კრებულში დაბეჭდილი „ჭიულ ტაროს“ თარგმანი. ეს არის ისტორია ზნეობრივად გადაგვარებულ საზოგადოებაში ღირსეული პიროვნების მორალური გაბრძოლების. ამ მისიით, მის მიერვე ღირებულ ნაშრომადაა მიჩნეული „ნათანიელ როსელის უკანასკნელი დღეების“ თარგმანი.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარი მრავალმხრივ აქტიური და საინტერესო პერიოდია მთელს მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც. ამ პერიოდში მოღვაწე ინტელექტუალი საზოგადოების კულტურულ-ლიტერატურულ საქმიანობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქალთა ემანსიპაციისა და ქართული საზოგადოებრივი ცნობიერის ამაღლების საკითხში. საუკუნის მიწურულს დაარსებული ჟურნალ-გაზეთები აქტიურად მიმოიხილავდა უცხოეთში მომხდარ სიახლეებს, აშუქებდა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს ქალთა უფლებების აღიარების თაობაზე (ივერია. 1906. N9: 13-15), უნივერსიტეტებსა თუ სასწავლებლებში ჩარიცხვის ამბებს და სხვა ნებისმიერ მცირე სიახლესაც კი, რაზეც თვლიდნენ რომ მაგალითი და ბიძგის მიმცემი იქნებოდა ქართველი ქალებისთვის და გამოსაცოცხლებელი მისია დაეკისრებოდა ქართული საზოგადოებისთვის.

სერგეი მესხის თქმით, კრებული „თარგმანი საამო საკითხავ თხზულებათა“ იყო „*მესანიშნავი მოვლინება*“ ქართველი ქალებისგან (დამბაშიძე, 2021, გვ.27). ამ ჟესტით ისინი დაუპირისპირდნენ იმ პერიოდში გავრცელებულ მოსაზრებას, რომ ქალებს განათლება არ სჭირდებოდათ, მათი მთავარი ფუნქცია ოჯახი და ქმარზე ზრუნვა უნდა ყოფილიყო „*ვინ ქალი და ვინ განათლება, ქმარი შეირთონ და მოისვენონ*“ (დამბაშიძე, 2021, გვ. 27). იმ პერიოდის პროგრესულად მოაზროვნე თაობა და უცხოეთში განათლება მიღებული საზოგადოება კარგად ხვდებოდა, რომ ქალის დანიშნულება მხოლოდ გათხოვება და შვილებსა და ოჯახზე ზრუნვა არ იყო, ამიტომაც ასპრეზუზე გამოსულ აქტიურ ქალებს ყოველთვის ჰქონდათ ეპოქალურად მოაზროვნე მამაკაცთა მხარდაჭერა.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ინტელექტუალი ქალები ყველა შესაძლებლობას იყენებდნენ სხვა ქალებისთვისაც მოეწოდებინათ აქტიურობისკენ. ამის დასტურია დარია მამაცაშვილის წერილი, ჟურნალ „დროებაში“ -

„ჩვენ ყოველთვის სასიხარულოდ გვაქვს, როდესაც დედათა სქესი წერას მიჰყოფს ხელს, ნამეტნავად ჩვენში, თქვენით ვცნობთ, რომ მოიპოვება გონება გახსნილი ქალები, რომელიც ზრუნავენ საზოგადო საქმის წარმატებისთვის. დედანო და დანო, დროა გავიღვიძოთ, ჩვენზედ არის განსაკუთრებით დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის წარმატება. განვიცხადებთ უგულთადეს თანაგრძნობას, დავშთები მხურვალე მოსურნე სრულის წარმატებისა ყოველს საქმეში, რაც კი ხალხის განსწავლას და კეთილდღეობას შეეხება“ (დროება, 1870, M1).

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მიმდინარე აქტიურმა სამოქალაქო ნაბიჯებმა და საზოგადოებრივი საქმიანობის გამოცოცხლებამ, მნიშველოვანი გარდატეხა მოახდინა ქართული საზოგადოებრივი ცნობიერის ფორმირებაში. ქალთა ემანსიპაციის თაობაზე საუბრები არ იყო მხოლოდ სიტყვიერი. ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილმა მათმა ნაშრომებმა ქმედითი ნაბიჯები გამოიღო და დაიწყო საუბრები ქალთა პიროვნულ თავისუფლებაზე თუ სწავლა-განათლების აუცილებლობაზე. ამიტომაც, ქართველ ქალთა გააქტიურება და მათი სამოქალაქო საქმიანობებში ჩართულობა არ იყო ხელოვნური, მხოლოდ აღიარებისთვის, ეს იყო ეპოქის და ქართული საზოგადოების მოთხოვნა.

ეპოქისთვის ერთ-ერთი მნიშველოვანი ქალი შემოქმედი, მისი სამოქალაქო თუ ლიტერატურული აქტივობებით იყო ეკატერინე გაბაშვილი. შეიძლება ითქვას, მან გამოჩინისთანავე შეძლო თავის დამკვიდრება მასკულინურ საზოგადოებაში და მისი შემოქმედებაც აღიარებული და დაფასებული იქნა. გაბაშვილისთვის განსაკუთრებით მნიშველოვანი იყო ილია ჭავჭავაძის აზრი,

რომელმაც მისი სამწერლობო სტილი ჰიუგოს წერის სტილს შეადარა. გარდა შემოქმედებისა, გაბაშვილის ხმა საზოგადოებრივ ასპარეზზეც მძლავრად ისმოდა და მისმა ქმედითმა ნაბიჯებმაც ღირებული კვალი დაამჩნია მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს სამოქალაქო ცხოვრებას. ამიტომაც, კონკრეტულად სამსჯელოდ, კრებულიდან შერჩეული იქნა მის მიერ შესრულებული თარგმანის ნაწყვეტი. შესადარებლად შერჩეულია მხოლოდ დასაწყისი აბზაცი.

Les Misérables (Troisième partie, livre premier, chapitre XIII) de Victor Hugo, RALENTIR TRAVAUX (Le site des élèves), Le portrait de Gavroche.

Huit ou neuf ans environ après les événements racontés dans la deuxième partie de cette histoire, on remarquait sur le boulevard du Temple et dans les régions du Château-d'Eau un petit garçon de onze à douze ans qui eût assez correctement réalisé cet idéal du gamin ébauché plus haut (1), si, avec le rire de son âge sur les lèvres, il n'eût pas eu le cœur absolument sombre et vide. Cet enfant était bien affublé d'un pantalon d'homme, mais il ne le tenait pas de son père, et d'une camisole (2) de femme, mais il ne la tenait pas de sa mère. Des gens quelconques l'avaient habillé de chiffons par charité. Pourtant il avait un père et une mère. Mais son père ne songeait pas à lui et sa mère ne l'aimait point. C'était un de ces enfants dignes de pitié entre tous qui ont père et mère et qui sont orphelins.

ეკატერინე გაბაშვილისეული თარგმანი:

ამ ოცდა ათი წლის წინათ, პარიჟის ერთ-ერთ ბულვარზე გამვლელნი უთუოდ ნახავდნენ თერთმეტის ან თორმეტი წლის ყმაწვილს, რომელიც ძლიერ ემსგავსებოდა ზემოთ აღწერილ პარიჟის გამენსა. მხოლოდ ამას გული როგორღაც მოწყენელი და დაღონებული ჰქონდა, თუმცა კი ყმაწვილურად პირს სიცილი მოსდიოდა. ეცვა გრძელი შარვალი, მაგრამ მამისა კი არა ყოფილა, ეცვა ქალის კოფთა, მაგრამ დედისა კი არა. უცხო ხალხს შებრალებოდა, თავის ძველები მიეცა. დედ-მამა სრულებით ყურს არ უგდებდა. ეს იმგვარი ყმაწვილი იყო, რომ დედ-მამა ჰყავთ, მაგრამ მაინც ობლებში კი ითვლებიან (თარგმანი საამო საკითხავთა თხზულებათა, 1872, გვ. 5).

თარგმნილი აბზაცის შედარებისას ტექსტის ორიგინალ ვერსიასთან, შესაძლებელია გამოიყოს რამდენიმე ძირითადი პრობლემა:

1. ტექსტი არ არ არის სრულად თარგმნილი.

პირველივე წინადადებაში, თარგმანში შემოკლებულია ამბავი, რაც საშუალებას მისცემდა მკითხველს გამხდარიყო ისტორიული პროცესების თანმდევი.

ორიგინალ ტექსტში წინადადება – *Huit ou neuf ans environ après les événements racontés dans la deuxième partie de cette histoire* (ქართულად – ისტორიის მეორე ნაწილში მოთხრობილი მოვლენებიდან რვა-ცხრა წლის შემდეგ) ქართულ თარგმანში სრულად არის ამოღებული.

ასევე, არ არის ნახსენები ორიგინალ ტექსტში დასახელებული კონკრეტული ქუჩა და ბულვარი, რომელიც ავტორს ამბის მეტი დაზუსტებისთვის აქვს გამოყენებული. მაგალითად: *le boulevard du Temple et dans les régions du Château-d'Eau*.

2. პიროვნების დასახასიათებლად, ტექსტში ნახსენები ზედსართავი სახელების ზუსტი შესატყვისი არ არის გამოყენებული.

ტექსტის ორიგინალი ვერსია: *un petit garçon de onze à douze ans qui eût assez correctement réalisé cet idéal du gamin ébauché plus haut, si, avec le rire de son âge sur les lèvres, il n'eût pas eu le cœur absolument sombre et vide*.

ქართულად თარგმნილი წინადადება: *მხოლოდ ამას გული როგორღაც მოწყენელი და დაღონებული ჰქონდა, თუმცა კი ყმაწვილურად პირს სიცილი მოსდიოდა*.

მაგალითად – ორიგინალ ტექსტში სიტყვები *sombre et vide* (პირდაპირი თარგმანით – ბნელი და ცარიელი) თარგმნილია როგორც მოწყენილი და დაღონებული (ფრანგულად – *Ennuyé et fatigué*).

შეიძლება ითქვას, აღნიშნული ნიუანსი მცირედ, მაგრამ მაინც უცვლის მნიშვნელობას წინადადებას.

3. გამოყენებულია შეცვლილი მნიშვნელობის სიტყვები:

ფრანგულად: *Des gens quelconques l'avaient habillé de chiffons par charité.*

ქართული თარგმანი: *უცხო ხალხს შებრალებოდა, თავის ძველები მიეცა.*

თარგმნისას სიტყვა *ნებისმიერი* (ფრ: *Un quelconque*) შეცვლილია სიტყვათი *უცხო* (ფრ: *étranger*).

une camisole (*კამიზოლი*) – სპეციფიკური სტილის ჩასაცმელი რომელიც ავთენტურ შტრიხს სძენს ტექსტს, თარგმნილია როგორც ზოგადი მნიშვნელობის *კოფთა* (ფრანგულად: *Chemisier*).

აღნიშვნა: განმარტების მიხედვით, კამიზოლი იყო ადრე ტანსაცმლის შიგნით ბაზად ჩასაცმელი ან თანამედროვეობაში, დამოუკიდებელი ზედა ნაწილი.

4. ორიგინალ ტექსტში წინადადება: *Pourtant il avait un père et une mère. Mais son père ne songeait pas à lui et sa mère ne l'aimait point.*

ქართულ ტექსტში თარგმნილია როგორც – *დედ-მამა სრულებით ყურს არ უგდებდა.*

ტესტთან მაქსიმალურად მიახლოებით, წინადადება შეიძლება ითარგმნოს შემდეგნაირად: *მიუხედავად იმისა, რომ მშობლები ჰყავდა, მამა მასზე არ ფიქრობდა და დედას არ უყვარდა.* ორიგინალი მნიშვნელობით, ფრაზა თავის სულისკვეთებით, კარგად აღწერს გავროშის მარტოსულობის მიზეზს. გაბაშვილისეულ თარგმანში კი წინადადება არის შემოკლებული, მაქსიმალურად დაწურული და ზოგადი მნიშვნელობის.

შეჯამებისთვის, რომ გავამახვილოთ ყურადღება თარგმანის რამდენიმე ძირითად პრობლემაზე:

ტექსტი არ არის სრულად თარგმნილი.

გარკვეული ადგილები და წინადადებები თარგმნილია შეჯამებულად, ან სულაც ამოღებულია და არ არის ნახსენები.

არ არის გამოყენებული ზედსართავების ზუსტი ან მიახლოებული შესატყვისი.

პერსონაჟის დახასიათებისას, ზოგჯერ გამოყენებულია განსხვავებული მნიშვნელობის სიტყვა, რამაც შეიძლება ტექსტს მისცეს „სხვა ემოცია“.

საერთო ჯამში, ამბავი გადმოცემულია მოკლედ (ზოგჯერ შეჯამებულად), სადაც აღწერილია ავტორის აზრით მთავარი სათქმელი, მკითხველის ინფორმირებულობისთვის.

შეიძლება ითქვას, მნიშვნელობაშეცვლილი ზედსართავების თუ სიტყვების გამოყენება, დიდწილად საერთო სათქმელს აზრს არ უცვლის, თუმცა ბუნებრივია აისახება და მნიშვნელოვანია წიგნისმიერი განწყობის, ემოციისა თუ ატმოსფეროს ზუსტად გადმოცემისთვის.

ყველა ავტორი მისეული ინტერპრეტაციით ეთანხმება ან უარყოფს თარგმანის შესახებ აქამდე არსებულ თითოეულ მოსაზრებასა თუ წესს. მაგალითად ფრანგი ავტორი პიერ დანილუე უე (1630-1721) ნაშრომში „თარგმანის საუკეთესო ხერხის შესახებ“, საუბრობს თარგმნის საუკეთესო მეთოდებზე. მისი აზრით, მთარგმნელმა პირველ რიგში უნდა გადმოსცეს ავტორის აზრები და მეტად დაეყრდნოს ავტორისეულ სიტყვებს, რამდენადაც ამის საშუალებას ენებს შორის განსხვავება მისცემს და ნაკლებად გააკეთოს მისეული ინტერპრეტაციები. უე თვლის, რომ თარგმანი არის ნამდვილი ხელოვნება, ამიტომაც ავტორმა უნდა გადმოსცეს ორიგინალის ბუნებრივი თავისებურება და თავს არ მისცეს უფლება ტექსტს მოაკლოს ან დაამატოს რამე თვითნებურად (გალობერი და სხვ., 2022/2023, გვ.35).

ინტერტექსტუალობა მნიშვნელოვან როლს ასრულებს თარგმნილი ტექსტის ჩამოყალიბებაში. ზოგჯერ, მთარგმნელისთვის რთულია ტექსტში არსებული სიტყვებისა თუ პასაჟების ზუსტი

ანალოგის მოძებნა საკუთარ ენაზე, ამიტომაც მისეული ინტერპრეტაციების შექმნა და მკითხველისთვის შეთავაზება ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება თარგმნისას. მაგრამ არც იმდენად, რომ უფსკრული წარმოშვას ორიგინალ და თარგმნილ ტექსტს შორის და გაჭირდეს მისი გაგება. ინტერტექსტულობა ადვილად გასაგებს ხდის თარგმნის, მაგრამ წარმოქმნის დაბრკოლებებს ორიგინალი იდეისა თუ ავტორისეული აზრის მკაფიოდ გამოხატვაში (Venuti, 2006, გვ. 38).

ამ კონტექსტში, გაბაშვილისეული თარგმანის მცირე ანალიზისთვის, ვიზიარებ უეს მოსაზრებას. რადგანაც, უცხო მკითხველისთვის ავტორისეული ჩანაფიქრის მაქსიმალურად გასაზიარებლად, ეპოქისა სულისკვეთებისა თუ ატმოსფეროს სრულყოფილად შესაგრძნობად, მნიშვნელოვანია მთარგმნელმა შეინარჩუნოს ორიგინალი ტექსტის მუხტი და მეტად მიახლოებულად გადმოსცეს ამბავი. გაბაშვილმა შემოგვთავაზა ტექსტის შემოკლებული თარგმანი, ქართველი მკითხველისთვის ადვილად გასაგები და მისაღები ლექსიკური ერთეულების გამოყენებით. ამით დიდად არ შეცვლილა ტექსტის მნიშვნელობა, მაგრამ შეიძლება ითქვას, ავტორისეული სულისკვეთებისა და იდეის სრულყოფილად გადმოცემა და მკითხველამდე მიტანა მოხერხდა ნაწილობრივ.

საგანგებოდ აღსანიშნია ის ფაქტი, რომ არ გაკეთებულა მთლიანი ნაშრომის როგორც თარგმნილი ისე ორიგინალი ტექსტის სტილისტური, გრამატიკული თუ შედარებითი ანალიზი, რაც სიღრმისეული დასკვნების გაკეთების საშუალებას მოგვცემდა. როგორც მთარგმნელი დალი ფანჯიკიძე აღნიშნავს, „*მთარგმნელის კვალიფიკაცია უნდა განსაზღვროს ლიტერატორმა, რომელიც კარგად შეისწავლის ორიგინალს და ამ ბაზაზე ააგებს თავის კრიტიკას*“ (თარგმანი როგორც შემოქმედება, 2022, გვ.19). აღნიშნულ ტექსტში კი საუბარია შინაარსისა და გამოხატვის შესაბამისობაზე, ერთი აზრის მაგალითზე. მართალია ტექსტიდან მხოლოდ ერთი მონაკვეთის განხილვით არ შეიძლება გაკეთდეს დასკვნები მთლიან ნაშრომსა და წიგნზე, თუ რამდენად შეესაბამება სტილისტური და შინაარსობრივი მხარე დედანს, მაგრამ ასე თუ ისე საკმარისია შესრულებულ თარგმანზე ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად.

ნაშრომის „ქალ მთარგმნელთა როლი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობისთვის“ შექმნის მთავარი მოტივი მის იდეურ ღირებულებაზე საუბარი იყო, რისი შეცვლაც არ შეუძლია თარგმანში არსებულ თუნდაც მცირე ხარვეზებს და უზუსტობებს. რადგანაც:

ის არის პირველი ბეჭდური გამოცემა, თარგმნილი ევროპული ლიტერატურული ნიმუშების.

ის არის ქალთა პირველი ერთობლივი ნაშრომი, რომელიც გამოვიდა იმ პერიოდში, როცა ქალების უფლებები შეზღუდული იყო. მათ არ ჰქონდათ არც თავისუფლად სწავლისა და შრომის შესაძლებლობა, არც საზოგადოებრივ საქმეში ჩართულობის ნება და მეტიც-საზოგადოდ თავისუფლად აზრის დაფიქსირებაც კი ეკრძალებოდათ. ამ პრობლემების წინააღმდეგ იბრძოდა ეკატერინე გაბაშვილი მისი აქტიური სამოქალაქო თუ ლიტერატურული საქმიანობით და ცდილობდა მისი ქმედითი ნაბიჯები ქალებისთვის სიკეთის მომტანი და მათი ყოველდღიური ყოფის გასაუმჯობესებელი ყოფილიყო.

„იმასაც ჩქარა მოვესწრობით, რომ ჩვენ ბავშვებს, დედების მოწყალებით, სასირცხვილოდ მიაჩნდებათ თავის დედაენაზედ ლაპარაკი. ამის მაგალითები ეხლაც ბევრია ჩვენში; მე მგონია ამაზედ ბევრი დამემოწმება. წარსულის კვირის კრებაში ვიყავით რამდენიმე ქალი და ვერც ერთმა ჩვენთაგანმა ვერ მოვახერხეთ ხმის ამოღება ქალების გამოსასარჩლებლად. რატომ? იმიტომ რომ შევკრთით, ვერ გავბედეთ ხმამაღლა გამოგვეთქვა ჩვენი აზრი; არა ვართ ქალები შეჩვეულნი საზოგადო საქმეებში მონაწილეობის მიღებას“ (დროება, 1880, M124) – აფიქსირებს ეკატერინე გაბაშვილი მის გულისტკივილს.

ნაშრომი წარმოადგენს გალაშქრებას ეპოქაში დამკვიდრებული სტერეოტიპული თუ დოგმატური აზროვნების წინააღმდეგ. თარგმანი არის ინტელექტუალი ქალების გაბრძოლება ფრთაშემკვეცავი საზოგადოების წინაარმდეგ.

უცხოური ნაწარმოებების თარგმანების წიგნის სახით გამოცემა წარმოადგენდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მოღვაწე ქალთა თამამ მანიფესტს მასკულინურ საზოგადოებაში. ეს იყო ღირებული ბიძგი და მოტივატორი ეპოქის ქალებისთვის, რომ ესწავლათ, ეშრომათ და საჭიროების შემთხვევაში ებრძოლად თავინთი იდეებისთვის, მიზნებისა თუ სურვილებისთვის –

„რამდენათ მთლიანი თავისუფალი პიროვნებაა დედაკაცი, იმდენად საღია საზოგადოება... ყოველი დიდი შემოქმედებითი ნიჭი იქ წარმოიშობის, სადაც დედაკაცი მონა კი არაა, თავისუფალი ადამიანია... შეუგნებელი დედა ვერ აღზრდის შეგნებულ მოქალაქეს“ (გოდერიძე, 2005, გვ. 343) აღნიშნავს დომინიკა ერისთავი (განდევილი).

მე-19 საუკუნის საფრანგეთისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული კონტექსტი განსხვავდება ერთმანეთისგან. საფრანგეთის 1789 წლის რევოლუცია ახალი შესაძლებლობების, ახალი ცხოვრების და განვითარების მოდელად იქცა საფრანგეთისა და ზოგადად, დასავლეთის ქვეყნებისთვის. ამ დროს საქართველო ნაციონალური იდენტობის ხელახლა გააზრების მცდელობაშია და რუსული კოლონიალიზმისგან თავის დაღწევას ცდილობს. ამიტომაც ნებისმიერი სახის ლიტერატურულ და კულტურულ აქტივობებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აღნიშნულ ნაციონალურ საქმეში. თარგმანი ყოველთვის იყო ლიტერატურის განვითარებისა თუ ინტელექტუალური პროცესების ნაწილი. ევროპული კულტურისადმი ინტერესი მე-19 საუკუნეში განსაკუთრებულად ჩნდება, თუმცა პროგრესული იდეები არც მანამდე იყო უცხო ქართველი, ეროვნულად მოაზროვნე საზოგადოებისთვის (არახამია, 2005, გვ. 4). გარდამავალ პერიოდში მყოფი ქვეყნისა და ლიტერატურისთვის მსგავს კულტურულ და შემოქმედებით აქტივობებს ზოგადსაკაცობრიო დანიშნულებაც ენიჭებოდა. როგორც იმ პერიოდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საზოგადო მოღვაწე ნინო ყიფიანი აღნიშნავს – *„ქართველ ქალთა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა მართო ქველმოქმედებას კი არ ემყარებოდა, არამედ იგი იყო ფართო საზოგადოებრივი შემოქმედებითი მუშაობა ცარიზმის გამარუსებელი პოლიტიკის წინააღმდეგ“!* (გოდერიძე, 2005, გვ. 308).

ანასტასია თუმანიშვილის ხელმძღვანელობით მომზადებული კრებული „თარგმანნი საამურთა საკითხავთა (თხზულებათა) – თარგმნილი და გამოცემული ქართველი ქალებისგან“, იყო ქალ მწერალთა და მთარგმნელთა დამოუკიდებელი ლიტერატურული საქმიანობის პირველი პროდუქტი. აღნიშნული ნაშრომით საქართველოც თავისებურად ჩაერთო გლობალურ ლიტერატურულ აქტივობებში და შეიძინა გადამწყვეტი მნიშვნელობა ქვეყნის ზუსტი ორიენტირების განსაზღვრის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

- არახამია, ნ. (2015). კულტურულ-ლიტერატურული პროცესები მე-19 საუკუნის ქართულ მწერლობაში, „ფილოლოგიური პარალელები“, მეცნიერო შრომების კრებული/სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართველური ენათმეცნიერების ინსტიტუტი, 7, 3-11.
- გალობერი, ქ. (2022/2023). ევროპული მხატვრული თარგმანის ისტორია მესამე პერიოდში. „კულტურათაშორისი კომუნიკაციები = Intercultural Communications = Межкультурные коммуникации“, 36/37, 32-25. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/444271>
- გაჩეჩილაძე, გ. (1959). მხატვრული თარგმანის თეორიის საკითხები: რეალისტური თარგმანის პრობლემა, თბილისი: „საბჭოთა საქართველო“.
- გოდერიძე, ლ. (2005). კულტურულ-საგანმანათლებლო მოძრაობა საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში: ქართული თვითმოქმედი საზოგადოებები, თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა: „მერიდიანი“.
- თარგმანი საამო საკითხავთა თხზულებათა. (1872). გამოცემული ქართველი ქალებისაგან, I. თბილისი.
- თარგმანი როგორც შემოქმედება.(2022). კრებული, რედაქტორი მარიამ გოჩიტაშვილი, თბილისი: „სულაკაურის გამომცემლობა“.

მესხი, ს. (1872). რეცენზია, „დროება“, 44, 1-2, თბილისი.
 ღამბაშიძე, ნ. (2021). ქართველ ქალთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, თბილისი: „ქართული უნივერსიტეტი“.
 ჩიხლაძე, ნ. (1960). დომინიკა ერისთავი (განდგელი), 36-39, თბილისი.
 ჯავახიშვილი, მ. (1906). ქალთა მოძრაობის ისტორიიდან, „ივერია“, 9, 13-15, თბილისი.
 Lawrence Venuti, « Traduction, intertextualité, interprétation », Palimpsestes [En ligne], 18 | 2006, mis en ligne le 30 juin 2013, consulté le 19 octobre 2024. DOI : <https://doi.org/10.4000/palimpsestes.542>

References:

Arakhamia, N. (2015). K'ult'urul-lit'erat'uruli p'rotsesebi me-19 sauk'unis kartul mts'erlobashi „pilologiuri p'aralebi“. metsniero shromebis k'rebuli/sokhumis sakhelmts'ipo universit'et'i. Kartveluri enatmetsnierebis inst'it'ut'i. 7, 3-11. [Cultural-literary processes in Georgian writing of the 19th century]. "Philological parallels". Collection of scientific works/Sukhumi State University. Institute of Georgian Linguistics.

Chikhladze, N. (1960). Dominik'a eristavi (gandegili). 36-39. Tbilisi. [Dominika Eristavi (Gandegili)]. Tbilisi.

Galoberi, K. (2022/2023). Evrop'uli mkhat'vruli targmanis ist'oria mesame p'erioidshi. „K'ult'uratashorisi k'omunik'a-tsiebi=Intercultural Communications=Межкультурные коммуникации“. [History of European literary translation in the third period]. „Intercultural communications“.36/37. 32-25. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/444271> [

Gachechiladze, G. (1959). Mkhat'vruli targmanis teoriis sak'itkhebi: realist'uri targmanis p'roblema. [Issues of the theory of artistic translation: the problem of realistic translation]. Tbilisi: „sabch'ota sakartvelo“.

Ghambashidze, N. (2021). Kartvel kalta lit'erat'urul-p'ublitsist'uri moghvats'eoba XIX sauk'unis meore nakhevarshi. Tbilisi. „Kartuli universit'et'i“. [Literary and journalistic activity of Georgian women in the second half of the 19th century]. Tbilisi. "Georgian University".

Goderidze, I. (2005). K'ult'urul-saganmanatleblo modzraoba sakartveloshi me-19 sauk'unis meorenakhevarsa da me-20 sauk'unis dasats'qisshi: kartuli tvitmokmedi sazogadoebebi. [Cultural and educational movement in Georgia in the second half of the 19th century and the beginning of the 20th century. Georgian self-acting societies] Tbilisi: Tbilisis universit'et'is gamomtsemloba. „meridiani“.

Javakhishvili, M. (1906). Kalta modzraobis ist'oriidan. „Iveria“. 9, 13-15. Tbilisi. [From the history of the women's movement]. "Iveria". Tbilisi.

Lawrence Venuti, « Traduction, intertextualité, interprétation », Palimpsestes. [En ligne], 18 | 2006, mis en ligne le 30 juin 2013, consulté le 19 octobre 2024. DOI : <https://doi.org/10.4000/palimpsestes.542>

Meskh, S. (1872). Retsenzia. „Droeba“. 44, 1-2. Tbilisi. [Review]. "Droeba". Tbilisi.

Targmani saamo sak'itkhavta tkhzulebata. (1872). Gamotsemuli kartveli kalebisagan, I. Tbilisi. [Translation of the writings of Samo readings]. Published by Georgian women. I. Tbilisi.

Targmani rogoris shemokmedeba. (2022). K'rebuli. redakt'ori Mariam Gochit'ashvili. Tbilisi. „Sulak'auris gamomtsemloba“. [Translation as creation]. Collection. edited by Mariam Gochitashvili. Tbilisi. Sulakauri Publishing House.